


572 / 1966
1966

8 2 0 6 0 0



№5

ՀԱՅԿԵՍՏԱՆԻ ԳՐԱԳԻՏՈՒԹՅԱՆ ԿԵՆՏՐՈՆ



1 2 3 4 5 6 7 8 9 0

აისი

მუშავე ლაბანია

„რომელი თვეა, ვინ მეტყვის,
გულს რომ ხალისით აესგებს,
დიდება ხომ თავისთავად და
ძალიან გიყვართ ბავშვებს.“

„შიგ სამი დღესასწაული,
სამი ნათელი დღეა,
სამჯერე, საღაც გახედავ,
წითელი დროშის ტყეა...“

თვალი მოვაველე პატარებს,
თავი ჩაჰკიდეს წამით.
ფიქრიამ წარბი შეჰყარა:
„დღესასწაული სამი,


ამბობ, ერთ თვეში არისო,
რას უნდა მიხედვით ამით?
კოტა რამ კიდევ გვანიშნე,
წაგვეხმარეო რამით!“

„კარგი, განიშნებთ რაიმეს,
წაგვეხმარებით ნორჩებს:
თვე არც კი დაბადებულა,
უკვე მოარხვეს დროშებს.“

არის სიმღერის წკრიალი,
ცაში მერცხლების ქროლა,
ქუჩებში ვაშას გრიალი,
ქრელი ყვავილის სროლა...

და კვლავ ჩვეული ცხოვრება.
შრომის გუგუნნი მძლავრად,
დღე დღეს მიჰყვება ხალისით,
ერთ ხანს გრძელდება სწავლა.

მაგრამ ზათქით და ხმაურით
ბოლო ეღება ლოდინს:





მეორე ღღესასწაული
რიცხვით მეცხრე ღღეს მოდის.

მოდის გრგვინვით და სალუტის
ცაში ფერადი ხონჩით,
არანაკლები ყვავილით,
არანაკლები დროშით...

და ჰა, ათი ღღეც ჩაივლის,
არ გვალოდინებს დიდხანს,
შესამე ღღესასწაულიც
კვიყინით მოგვაკითხავს.

სულ სხვაა მისი იერი,
მისი დროშე, ის შუქი,
მისი საყვირის პრიადი,
მისი დოლი და ბუკი.

რალა თქმა უნდა, პირველად
ახარებს იგი ბავშვებს,
მაგრამ დიდებსაც ხალისით
და სიამაყით ავსებს...

რომელი თვეა, ვინ მეტყვის,
სულ რომ დროშების ტყეა,
შიგ სამი ღღესასწაული,
სამი ნათელი ღღეა."

და მიპასუხა ფიქრიაბ,
თან ჩაიცინა წყნარად:
„შენ სკოლამდღეებს უამბე
ეგ შენი გამოცანა!

თუ სამი ღღესასწაული
ამრიგად მოსდევს ერთუროს.
სამივე ღღესასწაულზე
ვხედავთ ყვავილთა ქრელ გუნდს,

სამივე ღღესასწაულზე
თუკი მერცხლებიც ქრიათ,
მაშ, ეგ მათი ყოფილა,
მაგ თვეს მათი ჰქვია!

მეცხრე ღღეს ცხრა მათია,
ქრელი ყვავილი გუნდად,
ვიციტ პირველი მათისიც—
რა გამოცნობა უნდა!


ხოლო ცხრამეტი მათი
ჩვენი პირადი ღღეა—
პიონერული დროშების
და საყვირების ტყეა!"

...მიწურულიყო აპრილი,
ყველგან დროშები ჩანდა,
რა გამოცნობა უნდოდა,
ქალაქი წალკოტს ჰგავდა.
პირმშვენიერი მათისი
იღვა თბილისის კართან.

ნახატები თანაზიზ სამსონიძის



ს ლ ა ვ ე ი ც ე



ჩვენი სოფელია გულგარული საბავშვო ჟურნალი „სლავეიცი“

მოხერხებული გლეხი

(ხალხური ზღაპარი)

ერთ გლეხს ქურდმა ცხენი მოჰპარა. შეკრიჭა ფაფარი და ბაზარში წაიყვანა გასაყიდად. შემთხვევით ცხენის ჰატონი შეხვდა, იცნო თავისი ცხენი, თვალებზე ხელები ააფარა ცხენს და დაიძახა:

— ვინაა ეს ცხენი?

— ჩემია!— მიუგო ქურდი.

— აბა, თუ მართლა შენია, თქვი, როგორი თვალით არის ბრმა?

— მარცხენათი!

ჰატონმა ხელი მოაძორო ცხენის მარცხენ თვალს, — თვალი სრულიად სავალი იყო.

— არა, შეშეშალა, მარჯვენათი! — დაიძახა ქურდი.

ძვირფასო პატარა მემკობრეო!

ჩვენი ქვეყანა ბულგარეთი, როგორც თქვენი ლამაზი ქვეყანა — საქართველო, შავი ზღვის პირას მდებარეობს.

პატარა ბულგარელებს აკვთ საბავშვო ჟურნალი „სლავეიცი“ (ბულგულთი).

ამ ბავშვების სახელით მოგესალმებით თქვენ, პატარა ქართველ მემკობრებს, გილოცავთ მაისის დიად დღეისასწაულს და ნიშნად კეთილი მეგობრობისა, სურნელისა ვარდების ნაცვლად, გთავაზობთ ჩვენი მწერლების ლექსებს, ზღაპრებსა და მხატვრების ნახატებს.

უველა აქ დაბეჭდილი ნაწარმოები თარგმნა პოეტმა მუსხრან მაჭავარიანმა, რომელიც დიდხანს იყო ჩვენს ქვეყანაში.

ჟურნალ „სლავეიცი“ რედაქცია.

მაშინ ჰატონმა ცხენის მარჯვენ თვალს მოაძორო ხელი, — უკვლამ დაინახა, — ცხენი არც ერთი თვალით ბრმა არ იყო.

ქურდს შერცხვდა და გაიანარა.

დახატა სკოტონ ანასტასოვა.





სეზან ანალოვი

ყვავილეტი

დაბატა რაღონსავე მარინოვა

არის ბევრი ყვავილი,
ვერ დაითვლი, იმდენი;
თოვლისფერი, ცისფერი,
წითელი და ყვითელი.

და თამაშობთ, ბავშვებო,
სიხარულით ვენტებით,—
წითლები და ყვითლები,
შავები და თეთრები.

არის ბევრი მებრძოლი—
ყვავილნარის მომვლელი;
უყვართ ღვიძლი შვილივით
მათ ყვავილი ყოველი.

ცეროდნა ბავშვებსაც
გმფარველობენ ისინი,
რომ ქვეყანას ავსებდეს
თქვენნი ლალი სიცილი.

მუსიკა პანაიოზ კიკაძისა

ლექსი სონია კალჩავისა

მკკ

ცოცხლად.



რა-ო, რა-ო, ნე-ტავ რა-ო, ე-ნა-



ტპი-ლო ტო-რო-ლაო?! ოქ-როს ვხე-დავ ირგ-ვლივ



მე, ოქ-როს-ფე-რი გახ-და დღე, ოქ-როს



ვხე-დავ ირგ-ვლივ მე, ოქ-როს-ფე-რი გახ-და დღე.

— რაო, რაო, ნეტავ რაო,
ენატპილო ტოროლაო?!
— ოქროს ვხედავ ირგვლივ მე,
ოქროსფერი გახდა დღე.

— კიდევ რაო, ნეტავ რაო,
ენატპილო ტოროლაო?!
ყანა-ყანა დაღის მზე,
ხორბალს უწვდის მწუყერი მწუყერს.

— დროა, უკვე დროა მკის,
ყანა თავთავს დაბლა ხრის,
სოფლად ცხელი ქარი ქრის,
ცაზე კევრი ბრუნავს მზის.



მილკა და კაკსკვლევი

ივანე პასილუვი

დახატა მირა იორჯიანი.

ბილიყ ვენახისკენ მიდიოდა. მილკა დაადგა ბილიკს და მალე ავიდა ბორცვზე, რომლის მახლობლად იდგა დიდი მუხა. მუხის ქვეშ იყო ბაბუა დიშოს კარავი. ბაბუა დიშო კოლმეურნეობის ვენახს ყარაულობდა. მოხუცი ამ დროს მუხის გრილოში იჯდა. მას მოეჩვენა, რომ შორიახლო რაღაც ჩრდილმა გაიყვდა, მაგრამ თავი არ აუღია, — იფიქრა, — ალბათ ჩიტმა გაიფრინაო.

— ჰამი

ბაბუა დიშომ გაიღიმა. ეს ხომ მილკა — მისი შვილი-შვილი.

— თუ, როგორ შემეშინე! — ყახილად წამოიძახა მან და ლოყაზე მოუთათუნა მილკას.

მილკა ბაბუას მოეხვია.
— არა გრცხენია, ამ ხნის კაცს ჩემი გეშინია?
— კარგი ბიჭი ხარ და, ნუ შეგეშინდება, შენ ისე საშინლად დაიფიქრე: — ჰამო!
მილკა არ დამჯდარა, გაიცინა და ბორცვიდან მინდორს გახედა. ცოტა ხნის შემდეგ წყაროსკენ გაემართა. წყაროზე დაიხარა, წყურვილი მოიკლა და სახეზე პეშვიო წყალი შეისხა. მან ვერც კი შეინუნა, როგორ გავიდა დღე. საღამოს ბაბუამ და შვილიშვილმა დაანთეს ცეცხლი, შეწვეს კარტოფილი და დასაძინებლად დაწვეს.

უშთვარო ღამე იყო. ცაში-შორეული მსხვილი ვარსკვლავები ციმციმებდნენ. კარგია ბაბუასთან კარავში ძილი. დგას ლორთქი ბალახის სუნი, სურნელი ღლიღლისი და ხავერდასი. მაგრამ ეს კია, რომ ბნელა. ვახშმის წინ მილკა იყო წყაროზე. წყალში რამდენიმე ვარსკვლავი დაინახა: ნეტავ როდის ჩამოცივდნენ ისინი ციდან? უნდა წავიდე და მოვიტანო ერთი მათგანი, როგორ განათდება ბაბუაჩემის კარავი! როგორ გაიხარებს ბაბუა! ღამით იგი მოსაწვევად დგება და სიბნელეში ძლივს პოულობს ხოლმე თავის ყალიონს. საშოში არაფერია. მეზობლად კოლმეურნეობის ფარეხებია. იქ ძაღლები და თოფიანი კაცები არიან... მაგრამ ვარსკვლავმა რომ ხელი დამწვას? გოგონა წამოიშტა და ლოგინში და ჩაიფიქრა. მოხუცი არხენად ზვრინავდა.

— მოვიფიქრე! — წამოიძახა გახარებულმა — თან წავიღებ ჯამს და ჯამით ამოვიღებ წყლიდან ვარსკვლავს.

მილკა კარავიდან გამოვიდა. მიიხედ-მიიხედა და გაეცა, წყაროსთან მიიჩინა. გამჭვირვალე წყალში ვარსკვლავები ნებივრად კრთოდნენ. მილკა დაიხარა და ჯამი წყალში ჩაუყ. ჩაიხედა ჯამში, შიგ არც ერთი ვარსკვლავი არ იყო. ჩაიხედა წყაროში, იქაც აღარაფერია.

— შეეშინდათ! — დაასვენა მილკამ, — ცაში გაფრინდნენ.

ციცქენ ახედა, მოეჩვენა: ციდან რამდენიმე ვარსკვლავი დაჩრებოდა და დამცინავად უპაქუნებს თვალებს. ალბათ ისინი არიან, წყაროში რომ იყვნენ! გოგონამ ამოიხარა, გადმოაქცია ჯამიდან წყალი და ისევ ჩაიხედა წყაროში. დაინახა რამდენიმე წითლად მოცახცახე წილი.

— მხლალეობი! — გაიცინა მილკამ და კარავში დაბრუნდა.

თვალი არ გაუხელია, ბაბუამ ისე ჰკითხა:
— რატომ არ გძინავს, მილკა?

— მძინავს, ბაბუა, მძინავს! — მიუღო მილკამ და თვალეები დახუჭა. გაისმა დამენათევი ძაღლის ყეფა. ხაღლაც ახლოს გაიფარუნა ეფანმა და კვლავ უყვლიფერო მიუჭრა.

მილკამ დაიძინა და არ დაუნახავს, რამდენიმე ვარსკვლავი როგორ ჩავიდა წყაროში...

დახატა ლიპაზე ზილაროვა.

უაუვი

ცივა, ცივა, ცივა...
 ტყე მთლად გაიძარცვა.
 შემოდგომის წვიმა
 კრიალსანს მარცვლავს.
 ყვითელ ფოთლებს ქარი
 ათამაშებს ველად;
 კაცია თუ ქალი
 შინ იჩქარის ყველა.
 ტყე—ქცეული ჩონჩხად
 ეთხოვება ზაფხულს;
 გათავდა და მორჩა!
 ყვავილები,—ფაფუ!
 უავე ყველა ჩიტ
 ტყიდან გაფრენილა,
 შაუვი არსად მიდის,
 დაბტის ღელის პირას.



ცოცხალი ხილი

ნიკოლაი სოკოლოვი



ერთხელ პატარა ღვინე
 რკო მოიტაცა ტყიდან,
 რკო მუხად იქცა მერე,—
 ხე აღმოცუნდა ხილთან...
 და შეუყუდა მუხამ

ბოგირს ტოტები მძღვერი,
 თანთახებს სოღმე ხიდი,
 როცა დაბერავს ქარი,
 მაგრამ ხიღს უღგას მხარში
 მუხის ძღიერი მხარი.

ეჟიმი ჭიამარია

ათანას ლუკოვი

ტყეში დასტოდა კურღლის ბაჭია,
 ფეხში შეესო სიწვი ზაწი;
 ატეხა ერთი ვაი და ვიძი,
 მოსტყვამს და ტირის ტირიფის ძიღში.
 ამჟიღებს ჭრული ჭიამარია:
 — ნუ გემინია, ჩემო ძამია!..

გამოულდა სიწვი სელად,
 ფეხს ბალახით უხვევს
 და ღიძიღით ეუბნება:
 — ძიკარჩინე უაუ!



დახატა ლიპაზე ზილაროვა.

ქუნთი ჩინებავდა

1. იყო ერთი ჭინებავა —
ღაბსაწიში წაიწი.
იმ წელიწადს უპოვებო
შინაშია ფაბო.
გაზაწი აბო პაპიშო.
სტრიკაწილა წაიწი.
აი იღოწოს სიბრძნე,
აი წაღოს შინაში თანაი.



მარჯავე კენა

(ხალხური ზღაპარი)

ბანაში მარჯავე დანქნა, დარათო, ერთი წელიწადი ქსოვა და თავის ქმარს სულთის ცალი სხელო მოუქსოვა. შემდეგ ეს ახალი სხელო ქმრის ძეგლის ძეგლს დაკონკრეტ სულთის მიაკურა და ქმარს უოსდა:

— როცა ხალხში იქნები და ფერსულში ნაეშბები, დაკონკრეტ, — შენ კი

აწიწე ის ძეგლი, რომელსეგან ახალი სხელო გაცეცია, რომ ფეგლიმ თქვას: რა მარჯავე ცოლი მყოლიაო.

გურა დღეს მთელი სოფელი მოგდანსე იურიდა თავს. ხალხში გამონდა ბანას ქმარი, — ძეგლისძეგლი სულთის ცეცია, — ცალი ახალი სხელოთი. იგი თქვითმონად ნაებე ფერსულში.

უცე თავისი ხალხის ზღერბლიდან ბანაში ქმარს გაცხდას:

— ნებო კაცო, სტუმრები გავწიე-

ნენ, მოდი, მოდიო!

ქმარს ცოლის დარეგება მოიგონა, აწიწე ის ძეგლი, რომელსეგან ახალი სხელო გაცეცია და უნახეს:

— მოგდ-გარო, მოგდ-გარო!

ბანაში დინახს, როგორ ქათქათებდა მისი მოქსოვილი სხელო, — ერთობა გაცხდა, ამოიხარა და თქვა:

— რა მშვენიერი სხელოა! ღმერთო, დიდი დღე მოამე, რომ გაცხდა მგორე სხელოც მოუქსოვიო.



ბრიყვი მსხალი

ლელა მილქა

- მსხალო, თუ გიყვარდე,
ძირს ჩამოხტი ხიდან.
- რატომ, გენაცვალე?
- მოგეფერო მინდა.
— ვერ მოგართვებს, ვერა!
არ გეგონო ბრიყვი...
ბრიყვიაო მსხალი! —
მერე ასე იტყვი.
— ეჰ, შე, მართლა ბრიყვო.
შენ ვინ მოგცა ჭკუა!
აბა, მწიფე იყო,
თუ მეტყობი უარს?!
როცა დამწიფდები,
ალარ გავწილდები,
დაგიქროლებს ნიავი,
ძირს წამოხვალ ბზრიალით.



ამ სტოილუმბს ოაგეზო ერამანგოში შეეცვალაო.
დაუბრუნე ყველას ოაგისი ოაგო.



ამ პატარა დათუნისა გზა აებნა. აბა, თუ მიხვდები, რომელ გზას უნდა დაადგეს, რომ დელასთან მივიდეს.

ბალი და უაუზი

ალექსანდრა ქვითათალი

ბაპაჩემის სახლი მთის ოდნავ დაქანებული კალთაზე იდგა. ღობის გასწვრივ დიდი ვზო დაფენის, ბროწეულის, თხილის, ლეღვისა და კომშის ხეებით იყო შემორავული. სახლის უკან ვაზი ჩაეყარათ და ტალავერი გაეშენებინათ.

ტალავერთან ნორჩი, ტანკენარი ნამყენი ბალი იდგა. ვაზაფხულის დამდგეს, როდესაც შაშვის გალობის დრო იწყებოდა, იმ ბალზე შემოჯდებოდა და არემარეს საამო პანგებით ატკობდა.

ერთ საღამოს ხეზე შემომჯდარი ყვითელნისკარტიანი შაშვის გვერდით, მწვანე ფოთლებში შემალული, შეთვალული ბალი დაეინახე. არც ერთი სურათი და თვალი პატიოსანი ისე არ მომწონებია და არ დამხსომებია, როგორც მწვანე ფოთლებში უცხო საყურესავით მოგლვარე, ახალი დამწიფებული ნამყენი ბალი და მის გვერდით განაბული შაშვი.

იმ ყვითელნისკარტიან ჩიტს, ლალჩა-



სხმულ ძვირფას საყურესავით დაკიდებულ ლოყაწითელა ბალსაც ისე ნათლად ვხედავ,—მხატვარი რომ ვიყო, უთუოდ დავხატავდი.

ნახატები ლიმიჯი ზარაფხვილისა



ვაზაფხული

ანზორ აბულაშვილი

ეს ვაზაფხულიც მოსულა, გაქრა თოვლი და ზამთარი, ქუსნაც, ღეკასაც, ღეიასაც მზე დასდგომია ცხრათვალთ. ჩვენ მთაში ვცხოვრობთ, იქ სადაც გადმოპქუსს თეთრი ჩანჩქერი და ქვემოთ, როგორც ხელისგულს ქვეყანას ისე დავცქერით.

ძირს ალაზანი ციმციმებს, ბარი ჩანს მწვანე მინდვრებად, მზე ჩვენც ხასხასა-სიმწვანით მონატულ სერებს გვებრდება. ჯერ კი მზე მხოლოდ გვიცინის და ვხედავ: ქვემოთ სოფლიდან, მთაში გულთეთრა მერცხლი რა სიხარულით მოფრინდა.



შოთა რუსთაველი

: ავთანდილის ძან: ტაჩიყოსის: ძეხნად: წაწკრა:
 : აბ: საქეუს: გუაჩუგუბის: დიონისი: გსიქი: ებეს:
 : სანაგრა: ანდრეს: ვასილი: დავითთავის: დავსა: ებეს:

ვეფხისტყაოსნის ხელნაწერის ნიმუში

შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი ქართველი ხალხის საყვარელი წიგნია. ძველად სტამბა არ იყო. როგორც სხვა წიგნებს, ვეფხისტყაოსანსაც ხელით გადაიწერდნენ ხოლმე და ავრცელებდნენ. პოემის უძველესი ხელნაწერები ჩვენამდე არ შემონახულა. ისინი დროთა ვითარებაში დაკარგულა. ბევრი ხელნაწერი დაიღუპა, ალბათ გარეშე მტრების შემოსევის დროს. მტრები ცდილობდნენ, გაენადგურებინათ ქართული მწერლობა და ქართული კულტურა. მაგრამ ვეფხისტყაოსანს ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული ქართველი ხალხის გულში. ვეფხისტყაოსნის ლექსებს მღეროდნენ ლხინ-ნადიმებსა და ქორწილებში. ქართველმა ხალხმა ზეპირად იცოდა პოემა. ვეფხისტყაოსანი ყველა ქართულ ოჯახში ჰქონდათ, ქართველ ქალებს მზითევში ატანდნენ მშობლები

ვეფხისტყაოსნის საუკეთესო ხელნაწერებს. ჩვენამდე ვეფხისტყაოსნის არაერთმა ძვირფასმა ხელნაწერმა მოადგია. მაგრამ ხელით გადაწერას თავისი ნაკლიც ჰქონდა, გადამწერლები უნებურად შეცდომებს უშვებდნენ, ზოგ ადგილს კი თავისი გემოვნების მიხედვით ამკობდნენ და ასწორებდნენ. ამიტომ დროთა განმავლობაში პოემის ტექსტმა დიდი ცვლილება განიცადა. დღეს მეცნიერები სწავლობენ ვეფხისტყაოსნის ხელნაწერებს და ცდილობენ ისეთი ტექსტის დადგენას, როგორსაც შოთა რუსთაველი დაწერდა.

მე-18 საუკუნის დასაწყისში, 1712 წელს ვეფხისტყაოსანი პირველად წიგნად ვახტანგ მეფემ დაბეჭდა. ამის შემდეგ დღემდე 41-ჯერ გამოიცა.



წინილა



პენეკა ანდრონიკაშვილი

ნახატები ზურაბ მამბერიანიშვილისა

ბებომ ნანას სოფლიდან წიწილა ჩამოუყვანა. წიწილა ჰრედი იყო და თავზე ბუმბული აპრებდა. ნანამ მას ქოჩორა დაარქვა.

წიწილას ორივე ფეხი შეკრული ჰქონდა. ნანა შეწუხდა:

— ბებიკო, აუშვი, ასე ხომ ფეხები ეტკინება!

ბებომ წიწილას ფეხები შეუხსნა, ნანამ კი პური დაუფუშვანა, დაუყარა.

— ჰამე, ქოჩორა, ჰამე და დიდი გაობრდები, აი, ასეთი დიდი.—ხედილი უჩვენა ნანამ.

წიწილა ნამგზავრი იყო, მართლაც მოშივნოდა და გემრიელად შეეჭკა პურს. ნანამ ახლა ბრინჯის ტკბილი ფაფა დაუდგა თეფშით, ქოჩორამ ერთი ჩაუნისკარტა, თავი გააქნია და იატაკზე გაიწმინდა.

— ბებო, რატომ არ ჰამს? ფაფა ხომ ტკბილია?—გაიოცა ნანამ.

ბებომ ღიმილით უპასუხა:

— ქათმები ტკბილ ფაფას არ მიირთმევენ. მაგათ მარცველური უყვართ; ფეტვი, ხორბალი, სიმინდი, პურსაც კარგად გასაბედიან.

ნანამ ქოჩორას მთელი სახლი დაათვალიერებინა.

ნა. თავისი თოჯინებიც გააცნო. თან გზადაც გაკითხებოდა:

— მოგწონს? ამ მწვანე კაბიან თოჯინას ხატულა ჰქვია, ხომ ღამაზია? ეს რეზინის თოჯინა მზია განდავს, ძალიან თხუნიაა, ყოველდღე ვაბანავებ. ქოჩორა, შენ გიყვარს ბანაობა? აი, ამ ცალხელა თოჯინას მია ჰქვია. იცი, მია 5 წლისაა, თითქმის ჩემი ტოლია. მკვადი მე არ მომიგდევია, ღამე დღეინიდან გამომვარდა. შენ ხომ კარგი ძილი იცი? ხომ არ გამომვარდები? გინდა ჩემს საწოლში ჩაწექი. რამდენიც გინდა იკოტრიადე.

— ეგ, შვილი, სადმე მაღალ ადგილზე მოიკადათებს, ქათმებს ქანდარაზე უყვართ ძილი.—უთხრა ეგამ.

— რა არის ქანდარა?—ცნობისმოყვარეობით იკითხა ნანამ.

— საქათმეში კედლებს შუა გადებული ფიცარია, რომელზეც ძინავთ ხოლმე ქათმებს,—უთხრა ბებომ,—როცა ჩემთან ჩამოხვად სოფელში. მაშინ შენი თვალით ნახავ.

ამასობაში ექვსი საათიც შესრულდა.

— დედოკო, ჩართე ტელევიზორი, დღეს ცერონენას ეკრანია,—აწრიადღა ნანა,—მოდი, ქოჩორა, შენც უყურე.

სანამ ნანა გულმოდგინებით სკამებს ადაგებდა, წიწილა სადღაც გაქრა.

— წიპა, წიპა, წიპუკი, ქოჩორა, სადა ხარ?— იძახდა ნანა.

ქოჩორა კი საბაბანოში სკამზე იჯდა და თვდებდა.

— რატომ გამოიპარე, ქოჩორა, წამოდი, წამოდი!..

— არა, ჩემო გოგონა,—უთხრა ბებიამ,— ქოჩორა წესიერი წიწილაა. იცის, რომ ძირის დროა.

— ძირის დრო? ჯერ ხომ დღეა?—გაუკვირდა ნანას.

— ქათმები ადრე იძინებენ, ისინი თავიანთ წესს არ მოიშლიან.—თქვა ბებიამ.

ნანა გაბუტული ჩამოჯდა სკამზე. ვახშმის შემდეგ ისე შეიხედა აბაბანაში, ქოჩორა მშვიდად თვდებდა.

— აბბათ გზაში დაილაღე, არა, ქოჩორა?— ჩურჩულებდა ნანა,—დაისვენე, ხვად კი არ დაგაძინებ ასე ადრე. ფეხბურთს ერთად ვუყუროთ, ხომ?

მეორე დღეს ნანა მთელი დღე ისევე ქოჩორას დასდევდა. უყვებოდა ზღაპრებს, აკმევედა. წიწილა ისე შეეჩვია ნანას, როცა ნანა სადილობდა, წივილით იქაურობას იკვებდა. საკმარისი იყო ნანა მიახლოვებოდა, რომ ქოჩორა ტკბილ წიწის იწყებდა.

— უყურე მაგ ეშმაკს, როგორ შეეჩვია?!— ამბობდა ბებია.



სალამოს, როცა ტელევიზორი ჩართეს, ნანამ სიხარულით ტაში შემოჰკრა. დაიდგა პატარა სკამი და ქოჩორა კაცთაში ჩაისვა. ქოჩორა უცნაურად აწრიადღა:

— წია, წია,—გაიძახოდა.

— ჩემად, ქოჩორა, უყურე, ჩვენები ახლა ბურთს გაიტანენ.

წიწილას სულ არ აინტერესებდა ფეხბურთი, შეძგრა აბაბანაში, შეხტა სკამზე და ტკბილად ჩაიძინა.

ნანა გააცოცხლებული შესცქეროდა წიწილას. დედამ თავზე გადაუსვა ხელი ნანას და უთხრა:

— ხვდავ, როგორ ახსოვს წიწილას დედის დარიგება, ძირის დრო რომ მოვიდა, დაიძინა. შენსავით კი არ გაკვირვებულა.

ნანამ უსიტყვოდ დალია ჩაი, ხელპირი დაიბანა, „ლამე მშვიდობისა“ უთხრა უფროსებს და დედას საწოდო ოთახში გაყვა.

ახლა ნანას აღარ ჰქონებდა შესვენება, თვითონ მიღის დასაძინებლად.



ჩვენი მეგობარი

ნუნა კაკაშელიძე

აბა დელი, დელი, დელი,
უნასთ მეტროპოლიტენი,
სკუპ, ჰატარა ნასტომი,
ვარბის ესკალატორი.

ძოლანლანე იატაკი,
აქეთ-იქით ღიანდღვი,
მირბის მატარებელი,
მორბის მატარებელი,
ქრრ... წავედით...

მიწისქვეშა სადგურებო,
მაცემციმე ნათურებო,
მოამეწონეთ ძალიან,
მაგრამ აღარ მცალია.

ზევით ესკალატორო,
ქვევით არ მიმატოვო.
ქრრ... ნახვამდის.

ნახატი რაპავი მუხომიძისა



გეგია

ჩინოვილი

ნახატი ლიპიძის ხარაუხვილითა

მე და ჩემი ამხანაგი იამანიძის ეზოში გადავდევრით. შინ არავინ იყო. დედა ძაღლიც არსად ჩანდა. სახლს უკან, თივის ბულუღებში ხუთი გატანტალეზული ლეკვი ერთმანეთს მიხურხლოდა. ყველაზე დიდი ავარჩიე, ხელში ავიყვანე და შინისაკენ მოვკურცხლე. დედას ვუთხარი: ეს ლეკვი იამანიძემ მაჩუქამეთქი. ლეკვს რძეში დამბალი პური მივეცი და მურია დავარქვით.

ერთი საათის შემდეგ, ეზოში თვითონ იამანიძე შემოვიდა და მასპინძლოდა, დაიძახა. დედა გარეთ გავიდა. მე ისე წამიხდა საქციელი, რომ უკანა კარით გაქცევა ვერ მოვიფიქრე.

— თქვენს ბიჭს ჩემი ლეკვი წამოუყვანია, — თქვა იამანიძემ.

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოვარდა. აღვლევებულმა დედამ ხმა ვერ ამოიღო.

— მე შითხრა, მაჩუქაო...

— მართალია ვაჩუქე, მაგრამ სხვა წამოუყვანია. — უთხრა იამანიძემ, — მაგ ლეკვს სხვას შევპირდი, დანიშნულიც მყავდა. თქვენი შვილის ეს იყოს.

იამანიძემ ქალაქის პარკიდან ლეკვი ამოიყვანა და აივნის კიბეზე დასვა. დედა ოთახში შემოვიდა და ნიშნადღებული ლეკვი პატრონს გაუყვანა. იამანიძე წავიდა. დედა შინ შემობრუნდა, ხელში მეორე ლეკვი ეჭირა. ჩემთვის არაფერი უთქვამს. სახეზე აწითლებული იყო. ლეკვი ალუმიანის თევზზე დასვა. ლეკვმა რძიანი პური დაყნოსა და ვნა აუსვა. შემდეგ უკან თათებზე დაჯდა და რატომღაც მე შემომხედა. ასე გავიცანით ერთმანეთი. სახელად მასაც მურია დავარქვით.

ლეკვი მალე გაიზარდა. შავი, თეთრწინსკლებიანი ბომბორა დადგა. ერთი ყური შავი ჰქონდა, მეორე — თეთრი. მნახველს თვალი ზედ რჩებოდა. ყველაზე მეტად მე ვუყვარდი. სკოლიდან დაბრუნებამდე სულ ქიშკართან მგლოდა.


მურია ჩვენს ოჯახს გადაუხდელი სამსახური გაუწია, მაგრამ ბოლო დროს გარეგარე სიარულს შეეჩვია და ერთ დღეს დაი-



კარგა. ბევრი ვეძებე, ვერსად ვიპოვნე. კვირის თავზე თვითონვე მოვიდა. ყელზე თოკის ნაგლეჯი ჰქონდა. ჩანდა, ვიღაცას დაეჭირა. მურია გახარებული იყო და მთელი დღე ხელგებს მილოკავდა. მისი ნახვა მე უფრო გამიხარდა, მაგრამ იმდენი ვეღარ მოვიფიქრე, რომ დამეგბა.

ორი დღის შემდეგ ძაღლი ისევ გაუჩინარდა. ბევრი ველოდე, მაგრამ მურია აღარ გამოჩენილა. ალბათ ტყვეობას თავი ვეღარ დაადნია. მას მერე დიდი ხანი გავიდა. კარგი პატრონის ხელშიც რომ მოხვედრილიყო, აქამდე თავისი დღითაც მოკვდებოდა... მაგრამ მურიას მე დღემდე ველოდები.

10.083



კანდი
ფეხე
ფეხე
ფეხე
ფეხე



ნინიკო და ცუგო

თამარ ჩხაიძე

ნინიკო ეზოში გამოცქირაილდა. ხელ-
ში პური ეჭირა. ხტუნვა-ხტუნვით და
კულის ქნევით ცუგო გამოეგება.

— ცუგო, ცუგო, ყველი და პური
გინდა?!

— ჰამ, ჰამ!

შესანსლა ცუგომ ყველი და პური
თუ არა, ნინიკოს დედაც მოვიდა.

— ნინიკო, ყველი და პური შეჭამე?

— ჰო!

— აბა, დედა დაიფიცე!


— ცუგომ დაიფიცოს!

კრუსი და მიმინო

შალვა შალვაძე

წი-წი,
წი-წი,
წიწილო!
გული არ გამიწვრილო,
როცა შენსკენ მოვფრინებ,
არასოდეს იწივლო.
ასე, ჩემო პაწია.
კრუსმა თავი ასწია!
— რაო?

მი-მი, მიმინო!
ატყდა გაწამაწია.
— კრუსო, თვალბეცმეცება,
კი ყოფილხარ ძლიერი!
ქვები რომ დამიშინე,
მიტომ დეურჩი ვშიერი.




ქოლკვაგი

ჩაჩაბა

იმაჩი ხარბე

გუშინ მამამ მიყიდა
სათამაშო რაკეტა,
დამაბურთა სკაფანდრი,
კაბინაში ჩამკეტა.



მე და გოგო რომ ვსხდებით,
კიდევ რჩება ადვილი,
სათამაშო კი ახა,
რაკეტა ნამდვილი!



ტამოსკანა

უ. სარიშოული

თუმცა არ ჯდება ცხენზე,
ღებები კი აქვს ფეხზე.



ნახატი-ხუმრობა პოლონურ საბავშვო ჟურნალიდან

უნის ბასეცხეტი

მუართაზ ჩახავე

კარო რკინის კოჭიანო,
რას ჭრიკ-მიჭრიკ-მოჭრიადობ,
რა გაქვს საჭრეკ-საჭრიადო.

76055

ბ. 93/93

6^{III}/124

საქართველო
საბავშვო



1



4



2

1. „შელის ნუკრი“—ნახატი ნიკოლოზ დაწვლიასი, 6 წ. მოსკოვი.
2. „მამალი“—ნახატი თამარ მეზერიაშვილისა, 11 წ. გორის რაიონი, სოფ. პატარა გარეჯვარი.
3. „ჩემი ჯაშუფელი ელისო“—ნახატი ხათუნა ფხოველიშვილისა, 7 წ. ყვარლის რაიონი, სოფ. ახალსოფელი.
4. „შე, დედა, მამა და ჩემი ძმა ალიკო“—ნახატი თინათინ შალამბერძენისა, 5 წ. თბილისი.
5. „საბარგო მანქანა“—ნახატი ღია კაკანაძისა, 7 წ. თბილისი.



3



5

შთავარი რედაქტორი ჯიანსულ ჩარაქვიანი, ხარედაქციო კოლეგია: ბ. ბეზუხაძე, ა. გომიჯალი, ჯ. ლომუა, მ. პარპალიშვილი, ჯ. ნინუა, შ. ცხაღაძე (ხაზბატეო რედაქტორი), ნ. წულუბსაძე (რედაქტორი-მომადეველი), რ. პაიშვილი ხატორველოს აღკ. ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორს პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უფროსი

უცის მხატვრობა მოთარ ჯიშკარინისა

ტექნიკატორი ბ. რიბიშვილი

ვაშლიყვის ოცდამეცხრამეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ დაუბრუნდება.

გამომცემლობა „ნაბადული“. გამომ. შვს. № 143. ტექსტის შვს. № 696. ტირაჟი 5500 ხელმოწერილი დასაბეჭდად 29/III 1966 წ.

ვერსილი დაქუდილა სპ. კ. ცე გამოცემლის მოლგრაფიკამინჯა ლენინის ქ. № 14 „ნილა“ ჯგ. ხა გრუანსომ ეზიკი, ტბილისი, პროს. ნაზროვისი № 91 რედაქციის მისამართი: თბილისი, მღუნოვის ბრძობა, № 81, ტელ. 5-37-38, 5-18-09.